



# ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის

## ბუნებისმეტყველება

### ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - პროფესიული ცოდნა და აკადემიური უნარები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 53 .

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

**გაითვალისწინეთ:**

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



თითოეული დავალების ნომრის წინ ფრჩხილებში მითითებულია დავალების ქულა.

➤ *კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-18, 24-29, 34-38.*

#### ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

➤ *შესაბამისობის დადგენა - დავალება № 30-31.*

#### ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 1.

➤ *ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 19-23, 32, 33, 39.*

#### ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (ფოტო, ცხრილი, გრაფიკი და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

საგნობრივი ცოდნა

(1) 1. რომელი ნიშნები ახასიათებს ცოცხალ ბუნებას?

I – ნახშირორჟანგის გამოყოფა;

II – მოძრაობა;

III – ენერჯის მიღება და გარდაქმნა.

ა) მხოლოდ I და II;      ბ) მხოლოდ I და III;      გ) მხოლოდ II და III;      დ) I, II და III.

(1) 2. რა ბიოლოგიური მნიშვნელობა აქვს უსქესო გამრავლებას?

I – ხელს უწყობს ახალ ტერიტორიაზე ინდივიდთა განსახლებას;

II – იწვევს ინდივიდების რაოდენობის სწრაფად გაზრდას;

III – ხელს უწყობს მშობლებისგან განსხვავებული ინდივიდების წარმოშობას.

ა) მხოლოდ I და II;   ბ) მხოლოდ I და III;   გ) მხოლოდ II და III;   დ) I, II და III.

(1) 3. რომელი ერთუჯრედიანი ორგანიზმი მრავლდება დაკვირვებით?

ა) ამება;      ბ) საფუარი;      გ) ევგლენა;      დ) ქალამანა.

(1) 4. რომელი ლათინური ასოთი აღნიშნული ცხოველი მრავლდება კვერცხისდებით?



A



B



C



D

ა) A;

ბ) B;

გ) C;

დ) D.

(1) 5. რომელი ორგანიზმი იწყებს განვითარებას სპორიდან?

ა) მუხა;      ბ) ნამვი;      გ) სოკო;      დ) ფიჭვი.




(1) 6. რომელი არ არის მიწისქვეშა სახეცვლილი ღერო?

ა) ფესურა;      ბ) გორგლი;      გ) ძირხვენა;      დ) ბოლქვი.

(1) 7. იხელმძღვანელეთ სქემით და განსაზღვრეთ, რომელი ლათინური ასოთი აღნიშნულ ნაწილში წარმოიქმნება სასქესო უჯრედები.

- ა) მხოლოდ A;
- ბ) მხოლოდ B;
- გ) B და C;
- დ) C და D.



**(1) 8.** ჩამოთვლილთაგან რომელ პარაზიტებს ჰყავს შუალედური მასპინძელი?

1. ღორის სოლიტერს;    2. ექინოკოკს;    3. ასკარიდას;    4. მახვილას.

ა) 1 და 2;                    ბ) 1 და 3;                    გ) 2 და 3;                    დ) 2 და 4.

(1) 9. ყველაზე მეტად რომელ ორგანოებს აზიანებს ალკოჰოლი?

ა) კუჭსა და ნაწლავებს;

ბ) ღვიძლსა და თავის ტვინს;

გ) ზურგის ტვინსა და გულს;

დ) ფილტვებსა და კუნთებს.

(1) 10. გრიპისა და კოვიდის გავრცელება ხდება:

ა) ჰაერ-წვეთოვანი გზით;

ბ) პარაზიტი მწერებით;

გ) გაურეცხავი ხილით;

დ) წყლის მეშვეობით.

(1) 11. მწარმოებლების მიერ წარმოქმნილ ნივთიერებებსა და მათში დაგროვებულ ენერგიას ყველაზე მცირე ოდენობით ღებულობს:

ა) კურდღელი და ირემი;

ბ) მგელი და მელა;

გ) არწივი და ორბი;

დ) ობის სოკო და ღვინის ბაქტერია.

(1) 12. ილუსტრაციის მიხედვით განსაზღვრეთ, ჩონჩხის რომელი ლათინური ასოთი აღნიშნულ ნაწილში არ გვხვდება ძვალთა მოძრავი შეერთება.




A



B



C



D

- ა) A;
- ბ) B;
- გ) C;
- დ) D.


(1) 13. ნახატზე გამოსახული კუბებიდან უდიდესი სიმკვრივე აქვს:

ა) I კუბს;

ბ) II კუბს;

გ) III კუბს;

დ) სამივე კუბის სიმკვრივე ერთნაირია.







(1) 14. ნახატზე გამოსახული გრაფიკებიდან, რომელი შეიძლება იყოს  $t$  დროში გავლილი  $s$  მანძილის  $t$  დროზე დამოკიდებულების გრაფიკი?

ა) ორივე;

ბ) არც ერთი;


გ) მხოლოდ 1;

დ) მხოლოდ 2.



(1) 15. ცხელი წყალი ჩაასხეს ქვაბში და დაახურეს გამჭვირვალე სახურავი. მალე სახურავზე შიგნიდან გაჩნდა წყლის წვეთები (იხ. ნახ.). რომელმა პროცესმა (პროცესებმა) გამოიწვია წვეთების გაჩენა?

- ა) დნობამ და კონდენსაციამ;
- ბ) მხოლოდ აორთქლებამ;
- გ) მხოლოდ კონდენსაციამ;
- დ) აორთქლებამ და კონდენსაციამ.



(1) 16. მოცემულთაგან რომელია სუფთა ნივთიერება და არა ნივთიერებათა ნარევი?

ა) წყაროს წყალი;

ბ) ღვინო;

გ) ვერცხლისწყალი;

დ) რძე.

(1) 17. მოცემულ მტკიცებულებათაგან რომელი აღწერს სწორად ნახშირის წვის პროცესს?

I. ამ დროს გამოიყოფა ენერგია;

II. ამ დროს ნახშირბადისა და ჟანგბადისაგან წარმოიქმნება ნახშირორჟანგი;

III. ამ დროს ნახშირბადი იშლება და აირი გამოიყოფა.

ა) მხოლოდ I;

ბ) როგორც I, ასევე II;


გ) როგორც I, ასევე III;

დ) სამივე.

(1) 18. ორ ჭურჭელში მოათავსეს ოთახის ტემპერატურის წყალი. პირველი გააცხელეს, მეორე კი გაყინეს. როგორ შეიცვლება წყლის მოცულობა თითოეულ ჭურჭელში?

- ა) პირველში - გაიზრდება, მეორეში - შემცირდება;
- ბ) პირველში - შემცირდება, მეორეში - გაიზრდება;
- გ) ორივეში - შემცირდება;
- დ) ორივეში - გაიზრდება.


(1) 19. განსაზღვრეთ, რომელი ლათინური ასოებით აღნიშნულ მცენარეებს მტვერავენ მწერები:



(1) 20. ილუსტრაციაზე გამოსახულია მცენარე ლითოვსი, რომელსაც „ცოცხალ ქვასაც“ უწოდებენ. მას გააჩნია ორი წვნიანი ფოთოლი და მოკლე ღერო. რომელი აბიოტური ფაქტორის უარყოფით მოქმედებას შეეგუა მცენარე?




(1) 21. იხელმძღვანელეთ კვებითი ჯაჭვის სქემით და განსაზღვრეთ, რომელი ლათინური ასოთია აღნიშნული მეორე რიგის მომხმარებელი.






(1) 22. იხელმძღვანელებთ სქემით და განსაზღვრეთ, პირამიდის რომელი საფეხური უჭირავს ლათინური B ასოთი აღნიშნულ სახეობას.



(3) 23. ილუსტრაციაზე მოცემული ორგანიზმები (1. მუხა, 2. მუხლუხო, 3. წიწკანა, 4. ქორი, 5. აბედა სოკო, 6 და 7 კურდღლები) ტყის ეკოსისტემაში ერთმანეთთან ბიოტურ კავშირს ამყარებენ. მოწოდებული ინფორმაციის გამოყენებით, დაწყვილებული ციფრების გასწვრივ ჩაწერეთ ორგანიზმებს შორის არსებული ბიოტური კავშირის ფორმა.



23.1	1 და 5	
23.2	3 და 4	
23.3	2 და 6	

(1) 24. რა მასშტაბის რუკაზეა გეოგრაფიული ინფორმაცია უფრო მეტი დეტალიზაციით ასახული?

ა) 1: 25 000

ბ) 1: 200 000

გ) 1: 1 000 000

დ) 1: 35 000 000

(1) 25. ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე მოკლე პარალელი?

ა)  $10^\circ$ -იანი

ბ)  $40^\circ$ -იანი

გ)  $60^\circ$ -იანი

დ)  $80^\circ$ -იანი

(1) 26. ჩამოთვლილთაგან რომელია განაპირა ზღვა?

ა) ეგეოსის;

ბ) უედელის;

გ) წითელი;

დ) ბალტიის.

(1) 27. ჩამოთვლილთაგან რომელი მდინარის შესართავი მდებარეობს მისი სათავიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით?


ა) ნილოსის;

ბ) ამაზონის;

გ) დუნაის;

დ) დარლინგის.

**(1) 28.** ჩამოთვლილი დავალებებიდან რომლის შესრულებაც შესაძლებელი რუკის ფრაგმენტზე არსებული ინფორმაციის მიხედვით?



- ა) სახაზავის გამოყენებით გაზომეთ და გამოთვალეთ რამდენი კილომეტრია მანძილი დიდ ტბორსა და ხის ხიდს შორის;
- ბ) აღწერეთ ადგილის ლანდშაფტი, რომელიც გზის აღმოსავლეთით მდებარე ვრცელი ხეხილის ბაღებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს;
- გ) განსაზღვრეთ, რა მიმართულებით მდებარეობს პატარა ტბორიდან შერეული ტყე;
- დ) დაასახელეთ ყველა ის ხემცენარე, რომელიც გავრცელებულია რუკაზე აღნიშნული ტერიტორიის ფარგლებში.

**(1) 29.** ჩამოთვლილთაგან რომელ ტყეში ვითარდება ყველაზე მეტი იარუსი (მრავალიარუსიანი ტყეა)?

- ა) ციმბირის ტაიგაში;
- ბ) შერეულ ტყეში;
- გ) ამაზონის სელვაში;
- დ) არიდულ ნათელ ტყეში.



(1) 30. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

დაცული ლანდშაფტის ფოტო

ა)



ბ)



გ)



დ)



ე)



ვ)



დაცული ტერიტორიის სახელწოდება

1	2	3	4	5	6	7
იმერეთის მღვიმეთა	ვაშლოვანის	ჯავახეთის	ლაგოდეხის	თუმეთის	კოლხეთის	ფშავ-ხევსურეთის

(1) 31. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):


მცენარის ფოტო

ა)



პომიდორი

ბ)



ყავა

გ)



კაკაო

დ)



ხორბალი

ე)



სიმინდი

ვ)



ვაზი

წარმოშობის ადგილი

1

ამერიკა

2

ევრაზია


3

აფრიკა


4

ავსტრალია

(2) 32. ილუსტრაციის მიხედვით განსაზღვრეთ, წელიწადის რომელი სეზონია (დროა) სამხრეთ ნახევარსფეროში? ახსენით, როგორ დაადგინეთ ეს გარემოება.



(4) 33. გაანალიზეთ ილუსტრაციები და უპასუხეთ კითხვებს:



(2) 33.1. რა ეწოდება I ილუსტრაციაზე ისრებით ნაჩვენებ მთვარის ზედაპირზე არსებულ წარმონაქმნებს და როგორია მათი წარმოშობა?

(1) 33.2. რა ეწოდება მზის სისტემის კოსმოსურ სივრცეს, რომელიც ისრებით არის მითითებული II ილუსტრაციაზე?

(1) 33.3. მზის სისტემის რომელი პლანეტარული სისტემაა გამოსახული III ილუსტრაციაზე?

აკადემიური უნარები

## წაკითხული ტექსტის გააზრება

*ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

*ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ, მასზე პასუხის გასაცემად, შესაძლებელია, დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.*

სოციალური პასუხისმგებლობა ჩვენი ქმედებების სხვებზე გავლენის გააზრებას, ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებას გულისხმობს - პასუხისმგებლობის აღებას სხვათა კეთილდღეობაზე და წესების დაცვას საერთო სიკეთისთვის. სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობა შეიძლება, გასაღები იყოს სკოლაში ბავშვების აგრესიისა და ჩაგვრის შესამცირებლად. თუმცა, სოციალური პასუხისმგებლობა ბავშვებს თავისთავად არ უვითარდებათ, მისი ჩამოყალიბება მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს. ბავშვებისთვის სხვისი პერსპექტივის გათვალისწინებისა თუ უსაფრთხო, პროგნოზირებად გარემოს შექმნაზე ზრუნვის სწავლება საშუალებას მისცემს მათ, სოციალური პასუხისმგებლობის ღირებულება გაითავისონ.

არსებობს მოსაზრება, რომ წესების შესრულების მკაცრი კონტროლი შეამცირებს აგრესიას სკოლებში. ამგვარი მიდგომის ფარგლებში სადავეები სკოლის ხელმძღვანელების ხელშია და ბავშვის ქცევა შიშით იმართება. ამის საპირისპიროდ, თუკი მასწავლებლები ხელს უწყობენ ბავშვებში ემოციების მართვისა და კონფლიქტების მოგვარების უნარების განვითარებას, სკოლა კი ზრუნავს იმაზე, რომ ბავშვებს სკოლასთან კავშირის განცდა ჰქონდეთ, ისინი მოტივირებულნი არიან, იზრუნონ საერთო სიკეთეზე. ასეთ შემთხვევაში ბავშვები ხდებიან მთავარი მოქმედი პირები, როგორც დადებითი ცვლილებების შემოქმედნი.

შეკითხვებზე გადასვლა: [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#)

სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია სხვების დახმარების ქცევის მოდელირება. სკოლაში შესვლასთან ერთად ბავშვის სოციალური მოდელის წრე ფართოვდება. კვლევების მიხედვით, ბავშვები, რომელთა მშობლები და მასწავლებლები საზოგადოებისთვის სიკეთის მომტან აქტივობებში აქტიურად მონაწილეობენ, სხვების მხარდაჭერის, თანაგრძნობის უნარებით გამოირჩევიან. არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვებთან ყოველდღიურ ურთიერთობაში ღირებულებების შესახებ მკაფიო შეტყობინებების მიწოდება. ბავშვების ინფორმირება სხვა ადამიანების საჭიროებების შესახებ ერთ-ერთი ასეთი გზავნილია. ასევე, მნიშვნელოვანია ბავშვისთვის იმის ახსნა, თუ რა გავლენას ახდენს მისი ქცევა თანაკლასელებზე. საჭიროების შემთხვევაში დახმარების ძიების მხარდაჭერაც სოციალურ პასუხისმგებლობას ავითარებს. ხშირად ბავშვებს არც კი უჩნდებათ აზრი იმის შესახებ, რომ დახმარება ითხოვონ, როცა თავს კარგად არ გრძნობენ. თუკი დახმარების ძიებისკენ ვუბიძგებთ, მათაც გაუჩნდებათ სხვების დახმარების მოტივაცია. ღირებულებითი გზავნილები, შესაძლებელია, იმავე წარმატებით სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშემშლელად გადაიქცეს, თუკი სკოლა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს კონკურენციასა და მოსწავლეთა ინდივიდუალურ მიღწევებზე სამართლიანობისა და სხვებზე ზრუნვის უგულებელყოფის ხარჯზე. ამასთან, სოციალური პასუხისმგებლობა ქმედების გარეშე არ ყალიბდება - მნიშვნელოვანია ბავშვს ჰქონდეს შესაძლებლობა, თვითონ მიიღოს მონაწილეობა სხვებისთვის სიკეთის მომტან საქმიანობებში.

თუკი სკოლა ფუნქციონირებს, როგორც მინი-ინსტიტუტი, რომელშიც ბავშვები სწავლობენ გუნდურ მუშაობას, ურთიერთმხარდაჭერას, იაზრებენ, რას ნიშნავს საზოგადოების წევრობა, ასეთი ინსტიტუტის „კურსდამთავრებული“ დიდი ალბათობით შეეცდება საკუთარი სურვილების მიღმა „გახედვას“ და ნაკლებად გაუჩნდება სხვისი დაჩაგვრის სურვილი.

შეკითხვებზე გადასვლა: [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#)



(1) 34. პირველ აბზაცში ვკითხულობთ: „სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობა შეიძლება, გასაღები იყოს სკოლაში ბავშვების აგრესიისა და ჩაგვრის შესამცირებლად.“ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი განამტკიცებს ყველაზე მეტად ამ მოსაზრებას?

- ა) სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს ჩვენი ქმედებების სხვებზე გავლენის გააზრებას, პასუხისმგებლობის აღებას სხვათა კეთილდღეობაზე;
- ბ) სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს;
- გ) სოციალური პასუხისმგებლობა ბავშვებს თავისთავად არ უვითარდებათ, წესების დაცვის უნარის განვითარება სკოლის მნიშვნელოვანი ამოცანაა;
- დ) პროგნოზირებადი გარემოს შექმნაზე ზრუნვის სწავლება საშუალებას მისცემს ბავშვებს სოციალური პასუხისმგებლობის ღირებულება გაითავისონ.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

(1) 35. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მეორე აზნაცის საფუძველზე გამოტანილი მართებული დასკვნა?

სკოლებში აგრესიის შემცირების საუკეთესო გზა

ა) წესების შესრულების მკაცრი კონტროლია, რადგან ბავშვების ქცევა მხოლოდ შიშით იმართება;

ბ) სკოლის ხელმძღვანელების მიერ სადავეების საკუთარ ხელში აღებაა, რადგან ბავშვებს სკოლასთან კავშირის განცდა ასე უკეთ უყალიბდებათ;

გ) სასკოლო ცხოვრებაში ბავშვების მთავარ მოქმედ პირებად გადაქცევაა, რადგან ამ გზით ისინი იაზრებენ საერთო სიკეთეზე ზრუნვის პასუხისმგებლობას;

დ) ბავშვების მოტივირებაა, მართონ საკუთარი ემოციები, რადგან ასე უკეთ მოაგვარებენ კონფლიქტებს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

(1) 36. ერთ-ერთ სკოლაში დანერგილია პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც უფროსკლასელები სასწავლო წლის დაწყებამდე პირველკლასელებს მეგზურობას უწევენ სკოლის გაცნობაში: ათვალთვლებინებენ საკლასო ოთახებს, აცნობენ მასწავლებლებს, მათთან ერთად ასრულებენ იმ საქმიანობებს, რომელთა შესრულებაც მოუწევთ პირველკლასელებს სწავლის დაწყების შემდეგ.

სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების ხელშემწყობი რომელი მექანიზმის საილუსტრაციო მაგალითად გამოგვადგება ყველაზე ნაკლებად აღწერილი შემთხვევა?

- ა) სხვების დახმარების ქცევის მოდელირება;
- ბ) ბავშვების ინფორმირება სხვა ადამიანების საჭიროებების შესახებ;
- გ) სხვებისთვის სიკეთის მომტან საქმიანობაში მონაწილეობის მიღება;
- დ) ბავშვისთვის იმის ახსნა, თუ რა გავლენას ახდენს მისი ქცევა თანაკლასელებზე.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

(1) 37. რა შემთხვევაში შეიძლება გადაიქცეს ღირებულებითი გზავნილი სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშემშლელად?

- ა) თუკი სკოლაში კონკურენტული გარემოა, ბავშვები თავს უსამართლოდ დაჩაგრულად გრძნობენ;
- ბ) თუკი სკოლა ახალისებს მოსწავლეთა მხოლოდ ინდივიდუალურ მიღწევებს, ბავშვი ვერ სწავლობს სხვების გათვალისწინებას და ზრუნვას;
- გ) თუკი სკოლაში სამართლიანობის პრინციპი დაცული არ არის, ბავშვებს არ უჩნდებათ მოტივაცია საჭიროების შემთხვევაში დახმარება ითხოვონ;
- დ) თუკი სკოლაში საერთო ღირებულებები უგულებელყოფილია, ბავშვებს ერთობლივ საქმიანობებში მონაწილეობის საშუალება არ ეძლევათ.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)



(1) 38. გამოთქმა - საკუთარი სურვილების მიღმა „გახედვა“ - გულისხმობს:

- ა) საკუთარი სურვილების მიზეზების გააზრებას;
- ბ) სხვების საჭიროებების გათვალისწინებას;
- გ) საკუთარი საჭიროებების უგულვებელყოფას;
- დ) სხვების სურვილების უპირატესად მიჩნევას.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

## (9) 39. ანალიტიკური წერა



### ნაწყვეტი სტატიიდან:

„თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კონსტიტუციები, სხვა ფუნდამენტურ უფლებებს შორის, აუცილებლად ხაზს უსვამს ადამიანთა თანასწორუფლებიანობას. თუმცა, საკმაოდ ხშირად, დეკლარირებული ღირებულებები ქალაქდზე რჩება და ყოფით კონტექსტში ვხვდებით გარკვეული სტერეოტიპებით განპირობებული უთანაბრობისა და დისკრიმინაციულობის ნიშნებს.“

*გაიაზრეთ ილუსტრაციები, ნაწყვეტი სტატიიდან და იმსჯელეთ:*

- რა პრობლემა იკვეთება მოცემულ დავალებაში?
- რა წარმოშობს საზოგადოებაში ამ პრობლემას?
- რა შედეგს იწვევს აღნიშნული პრობლემა და როგორ უნდა აღმოვფხვრათ ის? განაზოგადეთ სათქმელი.

*მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და შესაბამისი მაგალითები.  
თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 120 სიტყვას.*